დანართი 1.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

2019 წ განსახორციელებელი პროგრამებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია - **3 627 500 ლარი.**

პროგრამით გათვალისწინებულია:

- **ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა** (შეუქცევადი დაავადებებით, როგორიცაა ეპილეფსია, პარკინსონი, ონკოლოგიური, ფილქტვის ობსტრიქციული დაავადებებით და ბრონქიალური ასთმით დაავადებულთა ყოველთვიური მედიკამენტებით უზრუნველყოფა);

  143 000 ლარი.

- **შშმ პირების დახმარებები** : 2015 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა, სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირთა მონაწილეობით, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის შემუშავებაში, გათვალისწინებულია ყველა მათი საჭიროება. ყოველთვიური ფულადი დახმარება ეძლევათ შემდეგი კატეგორიის შშმ პირებს: ა) 18 წელს ზევით მხედველობის მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს - 100 ლარის ოდენობით;

ბ)18- წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მომვლელს 150 ლარის ოდენობით;

გ)18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას -150 ლარის ოდენობით;

დ)დიალეზით მოსარგებლე ბენეფიციარები-50 ლარის ოდენობით;

ე)ყრუ-მუნჯებს 50 ლარის ოდენობით;

200 000 ლარი.

- **აიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“.** ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს აიპ „სათნოების სახლი“, სადაც განთავსებულია თხუთმეტი მიუსაფარი მოხუცი, ისისნი უზრუნველყოფილი არიან საკვებით, საჭირო მედიკამენტებით და ჰიგიენური საშუალებებით. მოქმედებს შინ მოვლის სერვისი, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოცდაათ მოხუცს. ქ. ბოლნისში ფუნქციონირებს ხანდაზმულთა დღის ცენტრი, რომელიც ემსახურება ორმოცდაათ ბენეფიციარს. ასევე „ღირსეული სიბერის“ ფარგლებში დაბა კაზრეთში მოქმედებს ხანდაზმულთა დღის ცენტრი (130 ბენეფიციარი). ყოველდღიურად უფასო სადილით სარგებლობს 350 სოციალურად დაუცველი და უმწეო ბენეფიციარი.

  496 000 ლარი.

- **სოციალურად (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა) დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვება** (ყოველთვიურად 80 ლარი);

  40 000 ლარი.

დანართი 1.

- **არასრულწლოვანთა ლოგოპედის მომსახურებით უზრუნველყოფა** (წლის განმავლობაში 1000 ლარით სარგებლობენ - შშმ ბავშვები, აუტიზმით, დაუნის სინდრომით, ცერებრალური დამბლით დაავადებული და სმენადაქვეითებული (მეოთხე ხარისხის სმენაჩლუნგობა) ბენეფიციარები);

  30 000 ლარი.
- **რეიტენგრირებული ბავშვების ყოველთვიური დახმარებები** (ყოველთვიურად 100 ლარი) და მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ დახმარება (ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით);

  12 000 ლარი.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა** (სოციალურად დაუცველი მარტოხელა პენსიონრები, ოჯახები რომელსაც ჰყავთ სამი და მეტი მცირეწლოვანი ბავშვი და ოჯახები სადაც შშმ პირი ცხოვრობს. გათბობის სეზონისთვის გაეწევათ დახმარება 250 ლარის ოდენობით);

  100 000 ლარი.
- **ბინის ქირით უზრუნველყოფა** (უსახლკაროების დახმარება ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით);

  22 000 ლარი.
- **სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ოჯახებისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა** (ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის საცხოვრისები: ქ. ბოლნისში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრისი - სადაც განთავსებულია თორმეტი ოჯახი (მათ შორის: ექვსი დევნილი და ექვსი სოციალურად დაუცველი), დაბა კაზრეთში მდებარე სოციალური საცხოვრისი - სადაც განთავსებულია ოცი უსახლკარო ოჯახი და ქ. ბოლნისში სიონის ქუჩაზე მდებარე სოციალური საცხოვრისი სადაც განთავსებულია ექვსი სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახი).

  45 000 ლარი.
- **სტუდენტთა დახმარებები** (1.ობოლი და მარჩენალდაკარგული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 ლარი; 2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 ლარი; 3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - 50 ლარი; 4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში 50 ლარი; 5. სტუდენტები ოჯახებიდან სადაც არის ორი ან მეტი სტუდენტი და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში - თითოეულს 50 ლარი; 6. შშმ სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო უმაღლეს აკრედიტირებულ სასწავლებლებში - 100 ლარი);

  100 000 ლარი.

დანართი 1.

- **მკურნალობით უზრუნველყოფა** (პროგრამა უზრუნველყოფს: ონკოლოგიური, ლეიშმანიოზით, ფსორიაზით, ვირუსული ჰეპატიტებით, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციართა, შშმ. პირების, დევნილების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერანთა, სოციალურ დაუცველ (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000) ოჯახების სამედიცინო დახმარებას (რასაც არ აფინანსებს საყოველთაო ჯანდაცვა, რეფერალური პროგრამები და სხვა კერძო თუ სახელმწიფო დაზღვევები), სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000) მედიკამენტებით უზრუნველყოფას (წლის განმავლობაში არაუმეტეს 200 ლარისა);
  950 000 ლარი.
- **ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა დახმარება;**
  40 000 ლარი.
- **დახმარებები და ერთჯერადი განაცემები, ზეპროგრამული;**
  450 000 ლარი.
- **კანონით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურეობა;**
  2 000 ლარი.
- **სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;**
  565 000 ლარი.
- **ხანდაზმულთა დღის ცენტრი;**
  53 500 ლარი.
- **ტრანსპორტის შეღავათები;**
  479 000 ლარი.

დამატებით შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც ინტენსიურად განიხილავენ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების, განაცხადებს, რომლების განცხადებით მომართვის მომენტში არ არიან რეგისტრირებული სოციალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის მონაცემთა ერთიან ბაზაში ან/და რეგისტრირებულია და არ აქვს მინიჭებული სარეიტინგო ქულა და მომართვის პერიოდში მძიმეა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2016 – 2018 წლებში გადაიხურა 73 სახლი - დაიხარჯა 742 887 ლარი.

2009 წლიდან ფუნქციონირებს საგანმანათლებლო სარეაბილიტაციო დღის ცენტრი „განთიადი“. დღისცენტრში მყოფი ბავშვები იღებენ მათზე მორგებულ სტანდარტის შესაბამის მომსახურეობას და ამავდროულად მათზე მორგებულია ექიმის დანიშნულების შესაბამისი კვების რაციონი სწავლების მეთოდიკა და დასვენების რეჟიმი.

დღის ცენტრში არის ორჯერადი კვება, ტრანსპორტით მომსახურეობა, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი გარემო. ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, იმართება ბავშვების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ეწყობა ექსკურსიები. შშმ ბავშვები უყზრუნველყოფილნი არიან საზაფხულო კურორტით, მათი რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის მიზნით.

ცენტრი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშების ინკლუზიური განათლებისათვის მომზადებას.

დანართი 1.

2017 წლიდან გაიხსნა კრიზისული ცენტრი „იმედი“, რომლის მიზანია უზრუნველჰყოს პირდაპირი დაცვა და დახმარება, ოჯახური და სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ბავშვების (ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პროგრამით უზრუნველყოფილია თავშესაფრით, სამედიცინო მომსახურეობით, ჰიგიენური საშუალებებით, კვებით, სოციალური მუშაკისა და ექთნის მომსახურეობით).

მუნიციპალური პროგრამების მიზანია ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) მოქალაქეებისთვის სოციალური დახმარების გაწევა, ზემოაღნიშნული პროგრამების ფარგლებში. პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური ჩართულია არაერთ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოსახლეობასთან შეხვედრები და საჭიროებებზე მორგებული პრიორიტეტების განსაზღვრა.

შეხვედრას ყოველთვის აქვს დისკუსიის ფორმა, სადაც თითოეული მათგანი თამამად საუბრობს საკუთარი პრობლემების შესახებ, მერიისთვის მათი საჭიროებები ძირითად პრიორიტეტს წარმოადგეს, რაც შემდეგ ისახება „სოციალური დახმარების მიღებისა და გაცემის წესში“ (იხ. საკანონმდებლო მაცნეში N74 25.12.2017 წლის დაგენილება).

ასევე, ვთანამშრომლობთ არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, სადაც მათთან ერთად ჩართული ვართ სოციალური პროექტების განხორციელებაში, იმ სოციალური ჯგუფებისათვის, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება მზრუნველობა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს, მაჟორიტარ დეპუტატს და საკრებულოს თავმჯდომარეს მუდმივ რეჟიმში აქვთ შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც ქალაქში, ასევე სოფლად და დაბაში. შეხვედრებზე დეტალურად ხდება იმ პრიორიტეტების განხილვა, რომელიც უზრუნველყოფს ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქალაქეების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.